საქართველოს კანონი

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37), 1999 წელი, მუხ. 158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მოცემული პარამეტრების შესრულება/დაცვა სავალდებულოა. ასევე სავალდებულოა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მფლობელის მიერ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში მოცემული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრების შესრულება/დაცვა. მათი შეუსრულებლობა/დაუცველობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების პირობების დარღვევად მიიჩნევა.“.

2. დანართის ცხრილის მე-8 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

8	მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან (მათ შორის, ნარჩენების აღდგენის შედეგად) ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა

“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

26 ივნისი 2025 წ.

N793-IIმს-XIმპ